ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 31. 07. 2020 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №232-ს

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-9 მუხლის; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" 22-ე მუხლის; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (N1/1136.31.07.2020), ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა (N1/1072, 23.07.2020) სკოლების დეკანების - ლევან ჯიქიასა და ლევან ქისტაურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2020 - 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში უნივერსიტეტში შიდა მობილობისთვის:

ა) გამოცხადდეს ვაკანსიები დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) განისაზღვროს პროცესის ადმინისტრირებისთვის ვადები დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) დადგინდეს შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

დანართი N1

შიდა მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილები:

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში**
   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
   ა.ა) სამართალი - **7 ადგილი;**
   ა.ბ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები - **7 ადგილი;**
   ა.გ) ისტორია - **5 ადგილი;**
   ა.დ) ქართული ფილოლოგია - **5 ადგილი;**

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
   ბ.ა) სამართალი - **5 ადგილი;**
   ბ.ბ) საჯარო მმართველობა - **5 ადგილი;**
   ბ.გ) ქართული ფილოლოგია - **5 ადგილი;**
   ბ.დ) საქართველოს ისტორია - **5 ადგილი;**

2. **ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში**
   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
   ა.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - **10 ადგილი;**
   ა.ბ) ტურიზმის ბიზნესი - **10 ადგილი;**
   ა.გ) ეკონომიკა - **10 ადგილი;**
   ა.დ) ფსიქოლოგია - **10 ადგილი;**
   ა.ე) კომპიუტერული მეცნიერება - 1**5 ადგილი;**

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
   ბ.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - **10 ადგილი;**
   ბ.ბ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია - **10 ადგილი;**

შენიშვნა: სწავლის წლიური საფასური ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა სამართლის და საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა შეადგენს**2250 ლარს**, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) სამართალი - **2450 ლარს**;

ბ) საჯარო მმართველობა - **2350 ლარს**.

დანართი N2

შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) – 2020 წლის 25 აგვისტო – 2 სექტემბერი

ბ) კრედიტების აღიარებისა და გასაუბრების კომისიების მუშაობა და დასკვნების მომზადება - 2020 წლის 26 აგვისტო - 3 სექტემბერი;

გ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება - 2020 წლის 27 აგვისტო - 3 სექტემბერი;

დ) დეკანატებისა და აღიარების კომისიების მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა მობილობის ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად - 2020 წლის 4 სექტემბერი;

ე) შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების/ბრძანებების პროექტის/პროექტების მომზადება და გამოცემა - 2020 წლის 7 სექტემბერი.

დანართი N3

შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (ივსება სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოში - ოთახი N103);

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (შესაბამისი დეკანატის მიერ დამოწმებული);

გ) 2020 – 2021სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის დამადასტურებელი (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის) დოკუმენტი.